SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

თავისუფალი
უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამართლის ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი და სტრუქტურა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ამზადებს სამართალმცოდნეებს, რომელთაც აქვთ ფართო თეორიული ცოდნა და იურისტისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნები თანხვედრაშია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიასთან და წარმოადგენს ამ მისიის პრაქტიკაში განხორციელების ერთ-ერთ აკადემიურ მექანიზმს - შექმნას სწავლის, სწავლების და ბაკალავრიატისთვის შესაბამის დონეზე კვლევისთვის საუკეთესო გარემო, რაც სტუდენტებს განუვითარებს კრიტიკული აზროვნებასა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს. ეს კი, თავის მხრივ,

შესაძლებელს გახდის კურსდამთავრებულები იყვნენ მოქნილნი, ავტონომიურები და წარმატებულები მუდმივად ცვალებად საქმიან გარემოში.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

- სტუდენტს მისცეს სამართლის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების, სამართლის ეროვნული სისტემის დეტალური სფეროების შესახებ და, აგრეთვე, საერთაშორისო სამართლის სისტემის ფართო და უახლეს ასპექტებზე დაფუძნებული ცოდნა;
- მოამზადოს იურისტები, რომლებსაც შეეძლებათ თეორიული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენებით, რთული და გაუთვალისწინებელი სამართლებრივი ამოცანების და პრობლემების დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით გადაჭრა;
- კურსდამთავრებულები იყვნენ მოთხოვნადი და წარმატებულები სამართლის სფეროში, განახორციელონ საკუთარი საქმიანობა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ სამართლის ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ კვლევის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სტანდარტული და უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

პროგრამის სტრუქტურა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა აგებულია თეორიული და პრაქტიკული პროფილით.

სტუდენტი სამართლის საბაზისო კურსების მეშვეობით შეისწავლის სამართლის საფუძვლებსა და მეთოდებს, ეცნობა სამართლის ფილოსოფიის ძირითად ცნებებსა და აქტუალურ პრობლემებს, სწავლობს სამართლის წყაროების, მათ შორის ქართული სამართლის ისტორიული წყაროების იდენტიფიცირებას. იგი შეისწავლის სოციოლოგიას, სამართლის ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს და მათ გამოყენებას სამართლებრივი პრობლემების გადასაწყვეტად.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იძენს ფართო ცოდნას დარგობრივ დისციპლინებში - კერძო და ბიზნესის სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, აგრეთვე, საერთაშორისო სამართალი. იგი ეცნობა ადამიანის უფლებათა თეორიებისა და პრინციპების, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური პრინციპებსა და სახელმწიფოს მოწყობის ეროვნულ მოდელებს, აქტუალურ ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. სტუდენტი შეისწავლის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სპეციფიკებსა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იძენს ცოდნას საერთაშორისო და ევროპის კავშირის სამართლის ძირითადი ინსტიტუტებისა და მექანიზმების შესახებ; გარდა ამისა, სისხლის სამართლის პრინციპების, დანაშაულის არსის, სასჯელის სახეებისა და სისხლის სამართლის სამართალწარმოების სტადიების შესახებ. სტუდენტი იღებს თეორიულ ცოდნას კერძო სამართლის, სამეწარმეო, შრომისა და საგადასახადო სამართლის ცნებების, პრინციპების შესახებ და ეცნობა კერძო სამართლის აქტუალურ სასამართლო პრაქტიკას, ამასთან, ივითარებს სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

პროფესიული უნარების განვითარების მოდულის ფარგლებში, სტუდენტი იძენს ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარებს პროფესიული ინგლისური ენის კურსების მეშვეობით. იგი ეუფლება ადვოკატის პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი წერის წესებსა და პრინციპებს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას სტუდენტი იძენს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს **სამართლის კლინიკებისა და იურიდიული პრაქტიკის მეშვეობით**, კერძოდ:

საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის ფარგლებში, სტუდენტი ეცნობა საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს, რის შემდეგაც ამზადებს ჯგუფურ სარჩელს, ინდივიდუალურ სარჩელსა და სასამართლო მეგობრის ორ მოსაზრებას. ამ პროცესში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პარტნიორი, აღიარებული უცხოური უნივერსიტეტის ჩართულობა, რომლის პროფესორები და სტუდენტები თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს მისცემენ რეკომენდაციებს სასამართლო მეგობრის მოსაზრებაზე მუშაობის პროცესში, არის მნიშვნელოვანი კომპონენტი პროგრამისათვის. საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის ფარგლებში

მომზადებული დოკუმენტების წარდგენა ხდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც სტუდენტს ეძლევათ წარმომადგენლობის შესაძლებლობა.

ბიზნესის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის კლინიკებში სტუდენტები ჯგუფურად მუშაობენ რეალურ სამართლებრივ საქმეებზე. მათ ზედამხედველობას უწევენ პრაქტიკოსი იურისტები.

კლინიკების დამატებით, იურიდიული პრაქტიკის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი გამოცდილებას იღებს რეალურ სამუშაო გარემოში და ეცნობა პროფესიული საქმიანობის საოპერაციო ყოველდღიურობას და ეუფლება ურთიერთთანამშრომლობის და პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.

პროფესიული ცოდნის სპეციალიზაციას სამართლის სხვადასხვა დისციპლინაში საკუთარი ინტერესების შესაბამისად, სტუდენტი ახდენს **სავალდებულო არჩევითი საგნების მოდულის მეშვეობით.**

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასასრულს სტუდენტი საკუთარი ინტერესების შესაბამისად ირჩევს საბაკალავრო ნაშრომის თემას და ხელმძღვანელის მითითებებით იკვლევს სამართლის აქტუალურ პრობლემებს.

გარდა ამისა, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო იმიტირებულ კონკურსებში, დარგობრივი ინტერესების გათვალისწინებით (ნებაყოფლობითი არჩევითი საგნების მოდული).

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ სკოლის მიერ ორგანიზებულ ექსტრაკურიკულარულ ღონისძიებებში (დისკუსია, საჯარო ლექცია, იმიტირებული პროცესები/შეჯიბრებები, საზაფხულო სკოლა).

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია, სხვა არჩევანთან ერთად, პრიორიტეტულად აირჩიოს დამატებითი სპეციალობა ბიზნესსა და ფინანსებში ან მართვასა და საჯარო პოლიტიკაში:

- **დამატებითი სპეციალობა ბიზნესსა და ფინანსებში** - ამ გზით იგი დაეუფლება კვალიფიციური ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ანალიტიკურ და მენეჯერულ ინსტრუმენტებს. მაინორ-პროგრამის ფარგლებში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის [ESM] მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების წარმატებით დაძლევის შემდეგ, სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვილია უნიკალური ცოდნით, გამოცდილებით და უნარებით. კურსდამთავრებული გამორჩეულად კონკურენტუნარიანი იქნება ბიზნესის სამართლის მიმართულებით.
- **დამატებითი სპეციალობა მართვასა და საჯარო პოლიტიკაში** - ამ შესაძლებლობას სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს სთავაზობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სკოლა. მაინორ-პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დაეუფლება საჯარო პოლიტიკის და კვლევის საფუძვლებს, რაც განსაკუთრებით საინტერესოა საჯარო სამართლით და პოლიტიკით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ასეთი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი სტუდენტი გამორჩეულად კონკურენტუნარიანი იქნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სფეროში კვლევითი საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციებში.

კურიკულუმის სტრუქტურა

კურიკულუმი მოიცავს საუნივერსიტეტო ზოგად განათლებას, სამართლის ძირითად განათლებას, სამართლის პრაქტიკულ განათლებას, სამართლის სპეციალობის არჩევით საგნებს და სამართლის ნებაყოფლობით არჩევით საგნებს.

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის დეტალური კურიკულუმი და სემესტრული გეგმა.

დასაქმების სფეროები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მაგალითისთვის, პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს იურიდიულ კომპანიაში, საკონსულტაციო ორგანიზაციაში, კერძო კომპანიაში, სახელმწიფო დაწესებულებასა და საერთაშორისო ორგანიზაციაში. ამასთან, საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად, ადვოკატის, ნოტარიუსის, პროკურორის პროფესიაში შესვლის წინაპირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო

ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია სამართლის არსის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემებისა და ქართული სამართლის ისტორიული წყაროების იდენტიფიცირება. მან იცის და აცნობიერებს კურიკულუმით გათვალისწინებულ დარგობრივ სასწავლო დისციპლინებში ძირითად თეორიებს, წესებს, პრინციპებსა და თავისებურებებს. ასევე, კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს იურიდიული პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების გზები და ცალკეულ იურიდიულ პროფესიებში გამოყენებადი პროფესიული ქცევის წესები.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ:

1. კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას.

2. კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა, შეზღუდვის პრინციპები და დაცვის ეროვნული მექანიზმი.
3. კურსდამთავრებულმა იცის სახელმწიფო მოწყობის ძირითადი პრინციპები და ეროვნული მოდელი.
4. კურსდამთავრებულმა იცის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმები და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებები.
5. კურსდამთავრებულმა იცის კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის უზოგადესი ცნებები და პრინციპები.
6. კურსდამთავრებულმა იცის სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის ეროვნული მექანიზმები და გაცნობიერებული აქვს კერძო სამართალში სამართალწარმოების თავისებურებები.
7. კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს სისხლის სამართლის პრინციპები, დანაშაულის არსი და სახეები, სასჯელის სისტემა და იცნობს სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს.
8. კურსდამთავრებულმა იცის საერთაშორისო სამართლის სისტემა და ძირითადი პრინციპები, ინსტიტუტები და მექანიზმები, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობა, სახელმწიფოსათვის დადგენილი უფლებები და ვალდებულებები, პასუხისმგებლობების მექანიზმები.
9. კურსდამთავრებულს შეუძლია სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობა; სამართლებრივი პრობლემისა და დავის გადაწყვეტის შესაძლო გზების იდენტიფიცირება, რაციონალური, დასაბუთებული გადაწყვეტილებების შემუშავება სტანდარტული ან/და უახლესი მეთოდების გამოყენებით.
10. კურსდამთავრებულს შეუძლია სათანადო სამეცნიერო, ნორმატიული და პრეცედენტული წყაროების, ასევე მეთოდების მოძიება, მოკვლევა, ანალიზი და გამოყენება.
11. კურსდამთავრებულს შეუძლია დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, დავის/სამართლებრივი პრობლემის გადაჭრა ყველა მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გაანალიზების საფუძველზე, სასამართლო პროცესისა და დავების გადაწყვეტის სხვა პოტენციური და კანონიერი საშუალების გამოყენებით.
12. კურსდამთავრებულს შეუძლია იურიდიული დოკუმენტების, კერძოდ, როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, ასევე სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და

ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტების შედგენა, აგრეთვე კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავება მითითებების შესაბამისად.

13. კურსდამთავრებული მოქმედებს ეთიკურ და პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებული სტანდარტების დაცვით.
14. კურსდამთავრებულს შეუძლია ქართულ და ინგლისურ ენებზე ზეპირი და წერილობითი ეფექტური კომუნიკაცია, პროფესიული აზრის გასაგებად გადმოცემა, როგორც პროფესიული, ისე - არაპროფესიული აუდიტორისთვის.
15. კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლება; საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდი. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ძირითადად შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- სწავლების ვერბალური მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- დისკუსიები/დებატები
- ანალიზის მეთოდი
- ახსნა-განმარტების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- სამართლის კლინიკები
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- სოკრატეს მეთოდი
- თანამშრომლობაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- ე.წ. „case study”/კაზუსების შესწავლა

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება: საშინაო დავალებები, ქვიზები, წერითი გამოცდები, პრეზენტაციები, ესეები, ჰიპოთეტური და რეალური საქმეების გადაჭრა, დისკუსიები, ხელშეკრულების პროექტები, საპროცესო დოკუმენტების

მომზადება, იმიტირებული პროცესები, სამართლებრივი მემორანდუმები, საბაკალავრო ნაშრომი და სხვა.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ლექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი სწავლების და სწავლის მეთოდი, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროგრამით. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს აღნიშნული სილაბუსში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება
- სამართლის ძირითადი განათლება
- სამართლის პრაქტიკული განათლება
- სამართლის სპეციალობის არჩევითი საგნები
- სამართლის ნებაყოფლობითი არჩევითი საგნები

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.